განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ენდი გიბსი, დამოუკიდებელი ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, გაერთიანებული სამეფო

წევრები:

ირინე ებრალიძე, დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ეკატერინე აზარაშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

ნანა დიხამინჯია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

მურთაზ კვირკვაია, გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი საქართველო

ნინი ფოფხაძე (ექსპერტი სტუდენტთა საკითხებში) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

თბილისი

2018__

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) მისია არის ხარისხიანი განათლებისა და ინოვაციის, ინტერნაციონალიზაციისა და უწყვეტი სწავლის პრაქტიკული კვლევების უზრუნველყოფა. IBSU ცდილობს, ხელი შეუწყოს კულტურათშორისი დიალოგის ჩამოყალიბებას, შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ დონესა და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

IBSU -ს აქვს ხედვა, გახდეს საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტი სწავლის ეფექტურობით, კვლევების შედეგებით და საზოგადოების ჩართულობით.შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ქვემოთ ჩამოთვლილ საგანმანათლებლო სფეროებს სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე. [4]

- ბიზნესის მართვის ფაკულტეტი
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი
- სამართლის ფაკულტეტი

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

IBSU- ს ავტორიზაციის შეფასების პროცესი ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. კომისიის შემადგენლობა დამტკიცდა 2018 წლის მარტში.

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები გადაიგზავნა კომისიის წევრებთან 2018 წლის 3 აპრილს. კომისიის წევრებს შემოწმების ორგანიზების საკითხებზე ხშირი ელექტრონული მიმოწერა ჰქონდათ. თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებული წინადადების თანახმად, კომისიის წევრებს განესაზღვრათ სპეციფიკური სტანდარტები, კონკრეტულ საკითხებზე გარკვეული აქცენტების გასაკეთებლად. კომისიის წევრებმა განსაზღვრეს ადგილზე სავარაუდო ვიზიტის თარიღი, წინასწარი შთაბეჭდილებები და ასევე დამატებითი დოკუმენტაციის შესაძლო მოთხოვნები. იმავდროულად, კომისიის წევრებისთვის შეფასების სქემაში შევიდა შემდგომში შესასწავლი კონკრეტული საკითხები. 2018 წლის 23 აპრილს ოფიციალური ვიზიტის დაწყებამდე კომისია შეიკრიბა თემებისა და ავტორიზაციის საკითხების დეტალურად განსახილველად. გადაწყდა, რომ კონკრეტულ სხდომებზე კომისიის თითოეული წევრის პირველადი ვალდებულება "საკუთარ სტანდარტთან" დაკავშირებული საკითხების დასმა იქნებოდა, კომისიის სხვა წევრებს კი საჭიროების შემთხვევაში ექნებოდათ დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობა. შესაბამისად, განისაზღვრა, რომ თავმჯდომარის გარდა კონკრეტულ სხდომას არ ეყოლებოდა სხვა კონკრეტული ხელმძღვანელი. ადგილზე ვიზიტი ჩატარდა 2018 წლის 24-27 აპრილს.

მომზადდა თვითშეფასების ანგარიში და გაიმართა შეხვედრები და ინტერვიუები კოლეგიალურ გარემოში. ვიზიტის ბოლოს მოკლე რეკომენდაციები და რჩევები მიეცათ ჯერ უნივერსიტეტის მენეჯმენტს და შემდეგ უნივერსიტეტის თანამშრომლებს. ვიზიტის დასრულების შემდეგ კომისიამ წარმოადგინა დეტალური კომენტარები თითოეულ სტანდარტზე, კომისიის თავმჯდომარემ კი ჩამოაყალიბა წინასწარი ანგარიში. ანგარიში მომზადდა და წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2018 წლის 8 მაისს და საბოლოო სახე მიიღო 2018 წლის 8 ივლისს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- სამოქმედო გეგმას უნდა დაერთოს შედეგის გაზომვადი ინდიკატორები
- დაიწყოს სამოქმედო გეგმის სტრუქტურული მონიტორინგი.
- უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის მიზნით საჭიროა სტუდენტთა ინფორმირება სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.
- გამოყენებული იყოს ყველა ის ალტერნატივა, რომელიც დაკავშირებულია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის რისკებთან, შესაბამისი დასაბუთებით და მითითებით იმ რესურსებზე, რომლებიც პრობლემის გადასაჭრელად უნივერსიტეტშია ხელმისაწვდომი.
- უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობაზე ხარისხის უზრუნველყოფის კვლევებში.
- უნდა დაიხვეწოს უნივერსიტეტში სტუდენტურ ორგანოებთან მიმართებით დაგეგმვის მეთოდოლოგია და ამაღლდეს მომუშავე პერსონალის (ისინი, ვინც სტუდენტურ ორგანოებში დაგეგმვის პროცესს ახორციელებენ) ცნობიერება სტუდენტურ ორგანოებთან დაგეგმვის არსებულ მეთოდოლოგიებზე.
- უცხო ენის ცოდნის დონე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამაზე მოხვედრის აუცილებელ წინაპირობებში და უნდა სრულდებოდეს ზედმიწევნით.
- სავალდებულო სტაჟირების პროგრამის შედეგები სათანადოდ უნდა შეფასდეს ხელმძღვანელების მიერ სწავლის შედეგებისა და შესაბამისი პროგრამის მიზნების შესაბამისობის გათვალისწინებით.
- იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ სწავლის შედეგების შეფასების სქემის არასწორი ინტერპრეტირება და სტუდენტთა დაბნეულობა, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მათი სრულად ინფორმირება აღნიშნულ საკითხებში.
- აკადმიურ პერსონალსა და ლექტორებს ეძლევათ რეკომენდაცია, უკეთ აუხსნან სტუდენტებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის თავისებურებები.
- აკადემიური პერსონალის მიერ აფილირების წესების სრულად გაგების უზრუნველყოფა.
- პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს ნათელი სტრატეგიები, რათა გაიზომოს მათი მონაწილეობის ხარისხი შეთავაზებულ ტრენინგებსა და სემინარებზე და ასევე განისაზღვროს აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით მათი პროფესიული განვითარების დონე.
- პერსონალის შეფასების სისტემა უფრო სისტემატიურად უნდა შემუშავდეს.

- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის დადგინდეს კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება რამდენად გაუმჯობესებულია მათი სამუშაოს შესრულების ხარისხი.
- შემუშავდეს შედარებით უფრო ფორმალური პროცედურები, რათა აკადემიური პერსონალი სრულად იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- კადრების კმაყოფილების კვლევა უნდა შეივსოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ;
- უნდა მოხდეს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრირების პროცედურების გაუმჯობესება და მათი ინფორმირება ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების შესახებ;
- სამუშაო დატვირთვის გამოანგარიშებისას შეფასებისთვის, მასალების მომზადებისთვის, თითოეული კურსის საოფისე საათებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამაზე მეთვალყურეობისთვის საჭირო დრო უნდა განისაზღვროს. სრული დატვირთვის გრაფიკის გაანგარიშებისას უნდა ხდებოდეს პროფესორების სხვა სამუშაო ადგილების გათვალისწინებაც ადმინისტრაციულ თუ ბიზნეს სფეროში არსებულ პოზიციებზე.
- როდესაც მოხდება სრული დატვირთვის გრაფიკის გამოანგარიშება, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გადახედოს პროფესორების არსებულ გრაფიკს, რათა დარწმუნდეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება და კვლევითი და სხვა საქმიანობები სათანადოდ სრულდება.
- გაიზარდოს დასაქმების ფორუმებზე საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობა.
- უნდა შემუშავდეს ნათელი პოლიტიკა და განისაზღვროს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სტუდენტების პრობლემების მართვასა და მოგვარებაზე.
- საჭიროა "ღია კარის პოლიტიკის" რეგულირება, რათა პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოწესრიგდეს და შესაძლებელი გახდეს მისი მართვა.
- დამკვიდრდეს სტუდენტური კლუბებისა და თვითმმართველობის შეფასება, რადგან ისინი არიან უნივერსიტეტის ოფიციალური ორგანოები.
- გავრცელდეს ხედვა, რომ სტუდენტური თვითმართველობა არის ცვლილებების მომტანი სტუდენტებისთვის, ორიენტირებულია სტუდენტების საჭიროებებზე და მონაწილეობს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- ყურადღება გამახვილდეს კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით, გარე დაფინანსების შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე.
- აკადემიურ პერსონალს მიეცეს მეტი შესაძლებლობა საგრანტო და საპროექტო წინადადებების წარსადგენად.
- დაჩქარებით დაიგეგმოს საერთო პროგრამების იმპლემენტაცია, რომლებიც საერთო ან ორმაგი ხარისხის მომტანი იქნება.
- გამოქვეყნდეს აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების შეფასების ანალიზი.
- ყველა შენობა სრულად ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის
- აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობა გაღრმავდეს, რათა ხელმისაწვდომი იყოს სილაბუსში ჩამოთვლილი ყველა სავალდებულო ლიტერატურა.

რჩევების შეჯამება

- სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრალიზებული კოორდინაციის დანერგვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს აქტივობებს შორის თანხვედრა.
- უნდა დაიხვეწოს უნივერსიტეტში სტუდენტურ ორგანოებთან მიმართებით დაგეგმვის მეთოდოლოგია და ამაღლდეს მომუშავე პერსონალის (ისინი, ვინც სტუდენტურ ორგანოებში დაგეგმვის პროცესს ახორციელებენ) ცნობიერება სტუდენტურ ორგანოებთან დაგეგმვის არსებულ მეთოდოლოგიებზე.
- გარე დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების პროცესისთვის ფორმალური სახის მიცემა.
- ცენტრალიზებული კოორდინაციის წარმოდგენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს აქტივობებს შორის თანხვედრა.
- საერთაშორისო ბაზარზე ეფექტიანი მარკეტინგული პლატფორმის შემუშავება და საერთაშორისო დონეზე PR საქმიანობის გაძლიერება.
- უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობაზე ხარისხის უზრუნველყოფის კვლევებში.
- სისტემურად შეფასდეს პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმები და მუდმივად მოხდეს აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდაჭერა.
- ეფექტური მეთოდებით და პრობლემების გაანალიზების გზით ამაღლდეს საბაზრო კვლევების ხარისხი, რათა გაიზარდოს ჩატარებული კვლევის სანდოობის ხარისხი.
- კითხვარის დიზაინი სტუდენტებს მეტ თავისუფლებას უნდა აძლევდეს, რათა მათ შეძლონ კომენტარის დატოვება საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებზე.
- შემუშავდეს და მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული გადახედვა და შედარება არსებულ პროგრამებთან, ისე რომ ნათლად გამოიკვეთოს ყველა მხარის ფორმალური ჩართულობა.
- უცხო ენის ცოდნის დონე უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში და ზედმიწევნით შესრულდეს.
- შემუშავდეს და მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული გადახედვა და შედარება არსებულ პროგრამებთან, ისე რომ ნათლად გამოიკვეთოს ყველა მხარის ფორმალური ჩართულობა
- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე საგნის სპეციფიკის გათვალისწინება დარგის მიხედვით, რათა სტუდენტებს უკეთესი აკადემიური მოსწრება ჰქონდეთ.
- სავალდებულო სტაჟირების პროგრამის შედეგები სათანადოდ უნდა შეფასდეს ხელმძღვანელების მიერ სწავლის შედეგებისა და შესაბამისი პროგრამის მიზნების შესაბამისობის გათვალისწინებით.
- სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში, როგორებიცაა მაგალითად CEEMC (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმიტირებული სასამართლო), JESSUP (ფილიპ ჯესაპის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო კონკურსი), VIS MOOT (ვისის სართაშორისო იმიტირებული კომერციული საარბიტრაჟო კონკურსი) დადებითი ფაქტორი იქნება.
- შეიქმნას უფრო მეტი საერთაშორისო საპროექტო შესაძლებლობა (სოციალური ან / და აკადემიური) სტუდენტებისთვის.
- ამაღლდეს მაგისტრანტების ცნობიერება პლაგიატისა და პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმების კუთხით.
- შემუშავდეს საერთაშორისო პროექტების უფრო მეტი შესაძლებლობა (სოციალური და/ან აკადემიური) სტუდენტებისთვის.

- შეიქმნას სტუდენტური სამოდელო სივრცე არქიტექტურის პროგრამისთვის
- აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობა გაღრმავდეს, რათა ხელმისაწვდომი იყოს სილაბუსში ჩამოთვლილი ყველა სავალდებულო ლიტერატურა.
- მონაცემთა ბაზის სტატისტიკური ანალიზის დროს მეტი სიცხადე გაჩნდეს
- შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება კიბერ-უსაფრთხოებისა და IT მენეჯმენტის საკითხებზე.
- გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მუშაობის გაგრძელება შემოსავლების ნაკადების დივერსიფიკაციისთვის.

საუკეთესო პრაქტიკიები

- მისიის შემუშავების პროცესში კოლექტიურმა მიდგომამ თანამშრომლებში აამაღლა ცნობიერება და საკუთრების შეგრძნება.
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე ანგარიშგება არის კარგი პრაქტიკა, რომელსაც უნივერსიტეტში ფაკულტეტები იზიარებენ.
- გუნდი ულოცავს უნივერსიტეტს, რომ მას აქვს ნათელი, კომფორტული და მრავალფუნქციური კამპუსი.
- SMART სისტემა არის სტუდენტზე ორიენტირებული.
- IBSU -ში არსებული სტაჟირების პროგრამები განიხილება კარგ საწყის წერტილად შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**	**არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐

4	**უსდ-ს პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☒	☐
5	**სტუდენტები და მათი დახმარების სერვისები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა დახმარების სერვისები	☐	☒	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7	**მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ეკატერინე აზარაშვილი (წევრი)
ნანა დიხამინჯია (წევრი)
ენდი გიბსი (წევრი)
ირინა ლობჟანიძე (წევრი)
პროფესორი მურთაზ კვირკვაია (წევრი)
ნინო ფოფხაძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) მისია ფოკუსირებულია პროფესიონალიზმე ორიენტირებული განათლების მაღალ ხარისხზე და გამოყენებით კვლევებზე, ხაზს უსვამს ინოვაციის, ინტერნაციონალიზაციისა და უწყვეტი სწავლების მნიშვნელობას. IBSU ცდილობს ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი

კოეფიციენტი როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე და თავისი წვლილი შეიტანოს დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ეს განცხადება შეესაბამება ევროპული და ქართული უმაღლესი განათლების მიზნებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რა უწყვეტ სწავლებაზე, ინტერნაციონალიზაციასა და დასაქმებაზე. მისიის შემუშავებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია აერთიანებდა მთელ პერსონალს და შეიქმნა ფართო განხილვებისა და დიალოგის შედეგად. მისია ნათლად ასახავს უნივერსიტეტის მიზანს, რომელიც ჩანს მათი სწავლების, სწავლის, კვლევისა და სხვა საქმიანობის, ასევე სტრატეგიული დაგეგმვის მაგალითზე.

ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუს პროცესში, პერსონალის განსხვავებულ ჯგუფებს დაუსვეს კითხვები მისიის შესახებ. ყველა თანამშრომელმა აჩვენა, რომ გაცნობიერებული აქვთ საუნივერსიტეტო მისიის არსი და თავიანთი როლი აღნიშნული მისიის რეალიზაციის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- IBSU-ს მისია
- IBSU-ს ხედვა
- IBSU-ს სტრატეგიული დოკუმენტები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მისიის შემუშავების პროცესში კოლექტიურმა მიდგომამ პერსონალს შორის აამაღლა ცნობიერება და საკუთრების შეგრძნება.

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

IBSU-ს აქვს ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა, რომელიც შედგება 60-ზე მეტი გვერდისგან. გეგმა დაყოფილია სექციებად, რომლებშიც ნათლად არის განსაზღვრული მოქმედებები, ეფექტურობის ინდიკატორები, ვადები და ის ფუნქციური ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებლნი არიან განხორციელებასა და მონიტორინგზე. გეგმა შესაბამისობაშია შიდა ხარისხის უზუნველყოფის პროცედურებთან და შიდა რეგულაციებთან, რაც უზრუნველყოფს გეგმის რეგულარულ მონიტორინგს, თუმცა ამ ეტაპზე სტრუქტურული მონიტორინგი არ დაწყებულა. გეგმა უფრო სათანადოდ დააკმაყოფილებს სასურველ სტანდარტებს, რადგან მოიცავს გაზომვადი ეფექტურობის ინდიკატორებს.

გეგმა შემუშავდა "ქვემოდან ზემოთ" მიდგომით, რათა გათვალისწინებული იყოს უნივერსიტეტის პერსონალის შეხედულებები. გარდა ამისა, გეგმის შემუშავებისთვის მოხდა დაინტერესებულ

მხარეთა მოსაზრებების შეკრება. აღნიშნულ დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესი საკმაოდ არაფორმალური იყო და უფრო ფორმალურმა სისტემურმა მიდგომამ შეიძლება უზრუნველყოს, რომ ყველა მათგანი, ვისი სურვილიცაა პროცესებში მონაწილეობის მიღება, ჰქონდეს ამის შესაძლებლობა. გეგმა საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს და ნათელია, რომ აქცენტი უწყვეტ სწავლაზე აქვს. მთელი რიგი სფეროები, მათ შორის ინტერნაციონალიზაცია და კვლევითი საქმიანობა, მეტი ცენტრალიზებული კოორდინაციით, მეტ სარგებელს ნახავს, რათა უზრუნველყოს აქტივობების ერთმანეთთან შესაბამისობა, ერთობლიობა და ხელი შეუშალოს სხვადასხვა უმართავი საქმიანობის წარმოშობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • IBSU-ს მისია • IBSU-ს ხედვა • IBSU-ს სტრატეგიული დოკუმენტები • ინტერვიუები
რეკომენდაციები: • სამოქმედო გეგმას უნდა დაერთოს შედეგის გაზომვადი ინდიკატორები • დაიწყოს სამოქმედო გეგმის სტრუქტურული მონიტორინგი.
რჩევები: • გარე დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების პროცესისთვის ფორმალური სახის მიცემა. • ცენტრალიზებული კოორდინაციის წარმოდგენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს აქტივობებს შორის თანხვედრა.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების შემუშავების პროცესში კოლექტიურმა მიდგომამ პერსონალს შორის აამაღლა ცნობიერება და საკუთრების შეგრძნება.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
• უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. • უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. • უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.

- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზზე დაყრდნობით, გუნდმა დაადგინა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ყველა დონეზე, განისაზღვრება ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებასა და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევას. სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან გამართული ინტერვიუდან ნათელია, რომ ისინი იცნობენ და ასრულებენ უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში განსაზღვრულ ფუნქციებსა და მოვალეობებს. უნივერსიტეტის თანამშრომლები კარგად იაზრებენ თავიანთ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს და აქვთ სათანადო გაგება თავიანთი ადგილის შესახებ უნივერსიტეტის მართვის სისტემაში. სტუდენტებთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუდან ნათელია, რომ მართვის ორგანოების გადაწყვეტილებები დროულია.

თანამშრომლების ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ნათელია, რომ უნივერსიტეტს აქვს მმართველი ორგანოების შერჩევისა და დანიშვნის წესი, რომელიც გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. დოკუმენტებით ნათელია, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წევრები (საბაზისო საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი) საბჭო, აკადემიური საბჭო). თუმცა, სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ მათი ცნობიერება დაბალია.

სტრუქტურულ ერთეულებთან შეხვედრებისას დაფიქსირდა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები ერთმანეთს უსმენენ და ერთად კარგად მუშაობენ. ვიზიტის დროს აშკარა იყო, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაცია კარგად არის აგებული. უნივერსიტეტის მცირე მასშტაბის გამო, კომუნიკაციის ფორმალური და არაფორმალური არხები წარმატებით არის გამოყენებული თანამშრომლებს შორის, ასევე თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის. ასევე მისასალმებელი ფაქტია, რომ მმართველი სტრუქტურები და პერსონალი მზად არიან ინოვაციების მისაღებად, მიუხედავად იმისა, საიდან ან რა ფორმით იღებს სათავეს ახალი იდეები. შემფასებელი გუნდის თვალსაზრისით, ეს მიდგომა IBSU-ს სტუდენტებისთვის კარგი მაგალითია.

საქმიანი პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, IBSU-მ შეიმუშავა ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა. გეგმა მოიცავს ყველა ძირითად რისკს, ისევე როგორც შესაძლო პრევენციულ ზომებს, დროის მონაკვეთებსა და განსახორციელებელ ზომებს. თუმცა, გეგმა სრულად არ ასახავს ყველა იმ შესაძლებლობებსა და რესურსებს, რომლებიც IBSU-ს გააჩნია ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის მენეჯმენტთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ, მაგალითად, როცა საქმე ეხება საურავებთან და ჯარიმებთან დაკავშირებულ რისკებს ან გადასახადებს, უნივერსიტეტს აქვს მრავალი სხვა ალტერნატივა, ვიდრე ეს წარმოდგენილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმაში. მაგალითად, უნივერსიტეტს რამდენიმე წელია აქვს სასამართლო საქმე, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ უნივერსიტეტს აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე (ინფორმაცია მოპოვებულია ინტერვიუებიდან) იმოქმედოს განსხვავებულად, ეს ფაქტობრივი მდგომარეობა არ არის ასახული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმაში. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში განხორციელდეს საკუთრების უფლების გადაცემა და ეს ასევე უნდა აისახოს უწყვეტობის გეგმაში.

უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება და გეგმავს ამ მიმართულებით სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებას (მობილობა, ერთობლივი პროგრამები, საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირება). შესაბამისად, უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა PR ტექნოლოგიებს და მარკეტინგულ მიდგომებს. თუმცა, ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაღრმავების მიზნით, აუცილებელია საერთაშორისო ბაზარზე ფოკუსირება და მკაფიოდ განსაზღვრული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრუქტურული ერთეულების რეგულაციები
- IBSU-ს შინაგანაწესი
- ორგანიზაციულისტრუქტურა
- რეგულაციები კვალიფიკაციის მოთხოვნებისა და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის წესების შესახებ
- კორესპონდენციის წესები
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა
- ეფექტური მართვისა და შეფასების სისტემის მონიტორინგის მექანიზმები
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2025)
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ რექტორთან, ვიცე-რექტორებთან და კანცლერთან
- ინტერვიუ აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ ადმინისტრაციის PR ოფისთან და კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის და უწყვეტი სწავლის ოფისის წარმომადგენლებთან , ენების სკოლასთან
- ინტერვიუ დეკანებთან

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის მიზნით საჭიროა სტუდენტთა ინფორმირება სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.
- გამოყენებული იყოს ყველა ის ალტერნატივა, რომელიც დაკავშირებულია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის რისკებთან, შესაბამისი დასაბუთებით და მითითებით იმ რესურსებზე, რომლებიც პრობლემის გადასაჭრელად უნივერსიტეტშია ხელმისაწვდომი

რჩევები:

- საერთაშორისო ბაზარზე ეფექტიანი მარკეტინგული პლატფორმის შემუშავება და საერთაშორისო დონეზე PR საქმიანობის გაძლიერება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

IBSU-ში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული. უნივერსიტეტს გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების (სახელმძღვანელო) დებულება. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ინიშნება თანამდებობაბზე უნივერსიტეტის რექტორის მიერ. უნივერსიტეტის მენეჯმენტის სტრუქტურით ხარისხის სამსახური ანგარიშს აბარებს რექტორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები უზრუნველყოფენ ხარისხის სტანდარტებს ფაკულტეტებს შიგნით.

ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზის მიხედვით აშკარა არის, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს "დაგეგმე-გააკეთე-

შეამოწმე-იმოქმედე" (PDCA) ციკლის პრინციპით. უნივერსიტეტმა ჩაატარა: აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება; უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება; სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების მიხედვით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა; მიმდინარე და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და ა.შ. ყველა ძირითადი სტრუქტურული ერთეული ჩართულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განხორციელებაში. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტური განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებით.

ინტერვიუები უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პერსონალთან ცხადყოფს, რომ ისინი ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტში მრავალი მიმართულებით ტარდება კვლევები და გამოკითხვები. კვლევა რეგულარულად ტარდება, შემუშავებულია სპეციალური ფორმები რომელთა გამოყენება შესაძლებელია კვლევის შესაბამისი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში. ასევე ნათელი ხდება რომ უნივერსიტეტი, კვლევისა და გამოკითხვის შედეგებს სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობის გასაუმჯობესებლად იყენებს. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე, ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეევსოთ ფორმები, რომლებიც დასაქმებულის კმაყოფილების კვლევას წარმოადგენს.

ინტერვიუები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების შეფასების მექანიზმების გაუმჯობესებას. გაუმჯობესების შეფასების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია აისახება აგრეთვე უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმებში (სტრატეგიული გეგმა). ქვე-მიზანი 4.2.10).

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა ორგანოს დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც ნათქვამია: "თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კონტინგენტის დაგეგმვა, შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსების არსებობა, შრომის ბაზრის მოთხოვნები, პროგრამის სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა, მობილობა, სტატუსის შეწყვეტა / გაყვანა / დაწყება, პროგრამის დასრულება და დასაქმება (სპეციალობის ჩათვლით) გასათვალისწინებელია". გარდა ამისა, უნივერსიტეტში შემუშავდა სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ფორმულა. თუმცა, მეთოდოლოგია გარკვეულწილად ზოგადია. ასევე, სტუდენტთა ორგანოების დაგეგმარებასთან დაკავშირებულ პერსონალს არ ჰქონდა სრულყოფილი ცოდნა არსებულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა რეგულაციები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მისი დანამატები
- ანგარიშები, რომლებიც შედგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
- შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- შეხვედრები პროგრამების ხელმძღვანელებთან
- ეფექტური მართვისა და შეფასების სისტემის მონიტორინგის მექანიზმები
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ დეკანებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობაზე ხარისხის უზრუნველყოფის კვლევებში.

- უნდა დაიხვეწოს უნივერსიტეტში სტუდენტურ ორგანოებთან მიმართებით დაგეგმვის მეთოდოლოგია და ამაღლდეს მომუშავე პერსონალის (ისინი, ვინც სტუდენტურ ორგანოებში დაგეგმვის პროცესს ახორციელებენ) ცნობიერება სტუდენტურ ორგანოებთან დაგეგმვის არსებულ მეთოდოლოგიებზე.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ქცევის კოდექსის პრინციპებს და მისი დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს. ქცევის კოდექსი ეხება აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს, მოწვეულ ლექტორებს, პედაგოგებს და სტუდენტებს. სტუდენტებთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუდან ირკვევა, რომ ისინი იცნობენ ეთიკის კოდექსს და იციან ეთიკის კოდექსით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ. ინტერვიუები ასევე აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის რათა ამაღლდეს ცნობიერება აკადემიურ პატიოსნებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აკადემიური პატიოსნება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევაში აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. 2018 წელს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიძინა უფლებები ანტი-პლაგიატის მომსახურების ტურნიტინის (Turnitin) გამოიყენებაზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანახმად, უნივერსიტეტი არა მხოლოდ გადაამოწმებს მსგავსებებს ნაშრომებს შორის, რათა შეამოწმონ სტუდენტის ნაშრომი პლაგიატზე, არამედ შეამოწმებს უნივერსიტეტის ასოცირებული თანამშომლების მიერ მომზადებულ სამეცნიერო სტატიებსაც.

უნივერსიტეტის შინაგანაწესში გაცხადებულია აკადემიური თავისუფლების პრინციპები. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ ისინი სწავლების პროცესში დამოუკიდებლები არიან. უნივერსიტეტი არ ერევა სწავლის, კვლევის, დისკუსიებისა და პუბლიკაციების მომზადების პროცესებში. სტუდენტების აზრით, სწავლის პროცესის განმავლობაში ისინი სარგებლობენ თავისუფლებით. უნივერსიტეტმა შეძლო სტუდენტების დაცვა იმ უსარგებლო ზეგავლენებისგან, რომლებსაც, ზიანის მიყენება შეეძლოთ მათი აკადემიური თავისუფლებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეთიკის კოდექსი

• სადოქტორო კვლევები და სადისერტაციო საბჭოს რეგლამენტი • რეგულაციები სამაგისტრო საგანმანათლებლო კურსისთვის • სტუდენტთა სადისციპლინო რეგულაციები • პერსონალის მართვის პოლიტიკა • შიდა რეგულაციები; • ინტერვიუები სტუდენტებთან • აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები: • სისტემურად შეფასდეს პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმები და მუდმივად მოხდეს აკადემიური პატიოსნების მხარდაჭერა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: IBSU -მ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია, რომელიც აღწერს უმაღლესი განათლების სამივე დონეზე სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების მეთოდოლოგიას. დოკუმენტი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის, 18 იანვარს. ამჟამად, IBSU -ში მოქმედებს 40 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან 39 აკრედიტებული პროგრამაა და მასწავლებელთა მომზადების პროგრამას (60 ECTS). გარდა ამისა, ერთი პროგრამა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გადაეცემა აკრედიტაციისთვის. IBSU- ს მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განვითარებას, სტუდენტებისთვის შესაბამისი აკადემიური დათეორიული ცოდნის მიცემას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამომავლო დასაქმებისთვის პირობების შექმნას. პროგრამის დაგეგმვა, დიზაინი და განვითარება არის მონაწილეობითი პროცესი და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, რათა უზრუნველყონ მაღალი ხარისხისა და ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო საველე სფეროს ექსპერტები ჩართულნი იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვის პროცესში, რომელმაც ხელი შეუწყო პროგრამის განვითარებას საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად. თუმცა,

ზემოთაღნიშნული უპირატესობების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ძირითადად გამოიხატა პროგრამებში ახალი სასწავლო კურსების დამატებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, IBSU-მ განაგრძო პროგრამების განახლება ბაზრისა და დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. არასასურველი შედეგების გამო დაიხურა 10 საგანმანათლებლო პროგრამა, მათგან ორი იყო სადოქტორო პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით, IBSU-მ ჩაატარა ბაზრის კვლევა 2017-2018 სასწავლო წლისათვის. საგანმანათლებლო პროგრამებზე (2013 წლიდან) უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა, შესაბამისი წლების მიხედვით მიღებულ სტუდენტთა სტატისტიკა, გარე და შიდა მობილობის მონაცემები, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტების გარკვეული რაოდენობა ან გადავიდა საგანმანათლებლო პროგრამიდან ან ჩაირიცხა. გარდა ამისა, შედგა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა. დასაქმების პორტალების კვლევა ჩატარდა (მათგან შეირჩა 5 ყველაზე აქტიურად გამოყენებადი პორტალი: www.cv.ge, www.jobs.ge, www.myjobs.ge, www.hr.ge, www.hr.gov.ge). თუმცა, როგორ მოხდა მონაცემთა ანალიზის შედეგების გარდასახვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მათ შორის, სტუდენტური თვითმმართველობის დაგეგმვის პროგრამა), ბუნდოვანია.

შემუშავებულია პროგრამის შეფასების კითხვარები, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებულ პირზეა (სტუდენტებზე, კურსდამთავრებულებზე, დამსაქმებლებზე) გათვლილი. სტუდენტების კითხვარის მიზანია ზოგადად სწავლის შედეგების, შეფასების კრიტერიუმების, პროგრამის მოქნილობის, პროგრამის კოორდინატორებისა და ლექტორების, პროგრამის რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების საერთო ხარისხის შესახებ მონაცემების მოგროვება და ანალიზი. თუმცა პრაქტიკულ კომპონენტზე კომენტარის გაკეთება შეზღუდულია, მაგალითად სტაჟირებაზე. უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ კითხვარი სამივე დონეზე სტუდენტებისთვისაა, არსებული ფორმით სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობები სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე არ არის შესაძლებელი. დამსაქმებლებისთვის შედგენილი კითხვარი ითვალისწინებს უკუკავშირის შეგროვებას როგორც ახლადშემუშავებულ ასევე არსებულ პროგრამებზე.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესები და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- ბაზრის კვლევა
- კითხვარები სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის
- საგანმანათლებლო პროცესის წესები და რეგულაციები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:

- ეფექტური მეთოდებით და პრობლემების გაანალიზების გზით ამაღლდეს საბაზრო კვლევების ხარისხი, რათა გაიზარდოს ჩატარებული კვლევის სანდოობის ხარისხი.
- კითხვარის დიზაინი სტუდენტებს მეტ თავისუფლებას უნდა აძლევდეს, რათა მათ შეძლონ კომენტარის დატოვება საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებზე.
- შემუშავდეს და მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული გადახედვა და შედარება არსებულ პროგრამებთან, ისე რომ ნათლად გამოიკვეთოს ყველა მხარის ფორმალური ჩართულობა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე ანგარიშგება არის კარგი პრაქტიკა, რომელსაც უნივერსიტეტში ფაკულტეტიები იზიარებენ.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- o პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- o ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის სწავლის შედეგები გასაგებად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სტრუქტურა და კონტენტი აგებულია კომპონენტებს შორის ლოგიკურ კავშირსა და შედეგებზე. სწავლის შედეგების მიღწევა განისაზღვრება გონივრულ ვადებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის შედეგების მიღწევას.

IBSU-ს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობისა და IBSU-ის შიდა რეგულაციების საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამებში ჩარიცხვის წესები მოიცავს ერთიანი სამაგისტრო გამოცდებისა და ასევე უნივერსიტეტის შიდა გამოცდების ჩაბარებას (უცხო ენა და სპეციალობა). სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა დაადასტურონ უცხო ენის ფლობა, რომელიც B2 დონის ეკვივალენტია, დოქტორანტის დონეზე კი - დონე თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრება და დასტურდება შიდა გამოცდების შედეგებით. IBSU -ს შინაგანაწესის მიხედვით აპლინაკტებისთვის გამონაკლისი შემთხვევები ნათლად არის განსაზღვრული. აპლიკანტების ბაკალავრიატის პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნულ გამოცდების შედეგების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

უნივერსიტეტის მიერ მეოთხე საგნის არჩევა ყველა სასწავლო პროგრამისთვის ყოველთვის არ ექვემდებარება ლოგიკურ ახსნას. მაგალითად, მეოთხე საგანი- "სამოქალაქო განათლება" განისაზღვრება, როგორც მარკეტინგის, საბუღალტრო, მენეჯმენტის, ფინანსების, ტურიზმის, ეკონომიკის, სამართალის, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკის სასწავლო პროგრამების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად.

ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური დონე არ არის განსაზღვრული საბაკალავრო პროგრამებზე. ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობაა მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ განმცხადებლები ვალდებულნი არიან ეროვნული გამოცდების დროს ინგლისური ენის გამოცდაზე გადალახონ 40 პროცენტიანი ზღვარი, ასევე მიუთითებდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 30/01/2018 წელს გაცემულ დოკუმენტს #MES 51800093212, რომლის თანახმად ეროვნულ გამოცდებში ინგლისური ენის დონე უდრის B1- ს და განმცხადებლები აკმაყოფილებენ აღნიშნულ დონეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიიღებენ 80-90 ქულას. სტუდენტთა მიღების შემდეგ, უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს. თუმცა, ეს არ არის საკმარისი, როდესაც პროგრამის ყველა კურსზე სწავლის პირველივე წლიდან მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. გარდა

ზემოთაღნიშნულისა, ინტერვიუს დროს რამდენიმე მაგისტრი სტუდენტი ვერ ლაპარაკობდა ინგლისურად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთ სამაგისტრო პროგრამებს გადიან ინგლისურ ენაზე.

პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტებს შესაძლებლობებით აირჩიონ არასავალდებულო სასწავლო კომპონენტები;

საგანმანათლებო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებს სთავაზობენ სავალდებულო სტაჟირებას. სტაჟირება ხორციელდება პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. პარტნიორ ორგანიზაციებთან ფორმდება მემორანდუმები. სტუდენტს ყავს ორი ხელმძღვანელი - ორგანიზაციის ფარგლებში და ფაკულტეტზე / უნივერსიტეტში. ორივე ხელმძღვანელი ვალდებულია, სტუდენტის მიერ სწავლის შედეგები ობიექტურად შეაფასოს სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. შეფასების შედეგები აისახება ორივე ზედამხედველის მიერ ხელმოწერილ დახასიათებაში სტუდენტის სტაჟირების შესახებ. წარმოდგენილი სტაჟირების ანგარიშების შესწავლამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფაკულტეტის ხელმძღვანელის მიერ განსახორციელებელი შეფასების პროცედურა არ ჩატარებულა და საბოლოო შეფასების შესახებ მოხსენება არ ყოფილა წარმოდგენილი.

როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა ინტერვიუში განაცხადეს, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგი ხორციელდება ყოველი ფაკულტეტის მიერ სემესტრულად და შედეგად განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადებას სხვადასხვა მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მოსამზადებელი დონის მიხედვით არეგულირებს. საფაკულტეტო საბჭოს გადაწყვეტილებით, სტუდენტის ან / და შესაბამისი კომპონენტის შემსრულებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მომზადებულია პროგრამის კოორდინატორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამათა კატალოგი
- სილაბუსი
- საგანმანათლებლო პროცესის წესები და რეგულაციები
- რეგულაციები სამაგისტრო საგანმანათლებლო კურსისთვის;
- სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს რეგულაცია
- სტაჟირების ანგარიშები
- მემორანდუმი სტაჟირების შესახებ
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უცხო ენის ცოდნის დონე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამაზე მოხვედრის აუცილებელ წინაპირობებში და უნდა სრულდებოდეს ზედმიწევნით.
- სავალდებულო სტაჟირების პროგრამის შედეგები სათანადოდ უნდა შეფასდეს ხელმძღვანელების მიერ სწავლის შედეგებისა და შესაბამისი პროგრამის მიზნების შესაბამისობის გათვალისწინებით.

რჩევები:

- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე საგნის სპეციფიკის გათვალისწინება დარგის მიხედვით, რათა სტუდენტებს უკეთესი აკადემიური მოსწრება ჰქონდეთ.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტის ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება 100 ქულიანი შეფასების სისტემით. ის შედგება შუალედური და ფინალური შეფასებებისგან. შესაბამისი კურსის ჩასაბარებლად, 100 ქულიანი შეფასების სისტემიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს ქულათა ჯამური რაოდენობა 51. წარმოდგენილი შეფასება მოიცავს შუალედური და ფინალური გამოცდების ქულებსაც. შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე დაწესებულია მინიმალური ზღვრული ქულა. დასკვნითი შეფასების ზღვრული ქულა არ უნდა აღემატებოდეს საბოლოო შეფასების 60%-ს. შეფასების ფორმა, კომპონენტები, მეთოდი და კრიტერიუმები თითოეული შეფასების კომპონენტისთვის წარმოდგენილია შესაბამისს სილაბუსში რომელიც ატვირთულია SMART -ში (სასწავლო პროცესების მართვის სისტემა).

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა პროგრამებისთვის აღწერილია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ის ზოგად შესაბამისობაშია "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან," საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბრძანება #3.

წარმოდგენილ სილაბუსებში როგორც შუალედური და ფინალური გამოცდების, ისე ზღვრულ ქულებს, განსაზღვრავს უშუალოდ ლექტორი. შედეგად, 100 ქულის გადანაწილება შუალედურ გამოცდასა და ფინალურ შეფასებას შორის, შეიძლება, მოცემული სახით იყოს წარმოდგენილი: 60/40 ან 70/30. შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად საჭირო ზღვრული ქულა განსხვავდება სასწავლო კურსის მიხედვით და შესაძლოა შემდეგი სახით იყოს წარმოდგენილი: 20, 21, 25, 31 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი შესაძლოა იყოს ცვალებადი და შეადგენდეს 10, 15, 16, 20 ქულას. ერთი და იგივე ტიპის კურსისთვის შეფასების სხვადასხვა სქემის გამოყენება ლოგიკას არის მოკლებული (მაგ. ინგლისურენოვანი კურსებისთვის, შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად საჭირო ზღვრული ქულა: A2 დონისთვის 70 ქულიდან 21 ქულა, B1 დონისთვის 70 ქულიდან 31 ქულა, B2 დონისთვის 70 ქულიდან 20 ქულა);

სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებისთვის, სხვადასხვა კურსის მიხედვით, გამოიყენება მრავალი მიდგომა, რაც თავის მხრივ ქმნის კომპლექსურ სისტემას, რომელსაც ერთი შეხედვით არ გააჩნია საერთო ლოგიკა და თანხვედრა. უნივერსიტეტში ჩატარებული გასაუბრებისას, სტუდენტებს გაუჭირდათ სასწავლებელში არსებული შეფასების სისტემის აღწერა. მინისტრის ბრძანება ნებას რთავს ლექტორებს, თავად დააწესონ მინიმალური ზღვარი თითოეული კურსისთვის. იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტული მოთხოვნები შედგენილია, შეთავაზებები მზადდება გაუმჯობესების მიზნით.

თითოეული სტუდენტის აკადემიური მოსწრება გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც ახდენს მის ანალიზს.

უნივერსიტეტს გააჩნია შეფასების გასაჩივრების მექანიზმი. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო აწესებს კომისიას, რომელიც შედგება დარგის სპეციალისტებისა და ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერისგან. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობაზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები
- სილაბუსი
- საგანმანათლებლო პროცესის წესები და რეგულაციები
- საგამოცდო ინსტრუქციები

რეკომენდაციები: • იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ სწავლის შედეგების შეფასების სქემის არასწორი ინტერპრეტირება და სტუდენტთა დაბნეულობა, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მათი სრულად ინფორმირება აღნიშნულ საკითხებში. • აკადმიურ პერსონალსა და ლექტორებს ეძლევათ რეკომენდაცია, უკეთ აუხსნან სტუდენტებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის თავისებურებები.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა • უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. • უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიმუშავა გამჭვირვალე და სამართლიანი ზოგადი წესები და პრინციპები კადრების მართვისთვის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დაქირავება ხდება გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურებით. პროფესორებისა და მოწვეული ლექტორების დაქირავება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ემყარება სამართლიან მიდგომას და მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრების აყვანას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აფილირების პროცედურები უახლოეს წარსულში დამკვიდრდა და პროფესორებთან გამართული ინტერვიუების დროს, გარკვეული ნაწილი არ იყო ინფორმირებული აფილირების წესებთან დაკავშირებით; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აკადემიურ პერსონალს აფასებს როგორც სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარის დახმარებით, ისე ლექციებზე დასწრების გზით და უკუკავშირის მიწოდებით პერსონალისთვის მათ მიერ მიღებული შეფასებების მიხედვით. ამავდროულად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იყენებენ პერსონალის კმაყოფილების კითხვარებს, თუმცა ინტერვიუს დროს პროფესორების უმრავლესობამ დაადასტურა რომ გასული აკადემიური წლის განმავლობაში მსგავსი კითხვარი არ შეუვსიათ. ახალ პროფესორთა გარკვეულ ნაწილს მკაფიოდ არ ესმის სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდების არსებობის მნიშვნელობა. უნივერსიტეტის შეხედულებით, სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი საკმარისია ლექტორების შესაფასებლად. კითხვარი მიუთითებს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრირების პრობლემის არსებობაზე. აკადემიური პერსონალის მიმართ არსებობს ზოგადი მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ. ასისტენტის, ასოცირებული ან სრული პროფესორის პოზიციის დასაკავებლად საჭიროა კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და განსაზღვრული რაოდენობის ნაშრომების წარდგენა, აღნიშნულის თაობაზე აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია. IBSU-ს განცხადებით, ყოველწლიურად პროფესორები წარადგენენ წლიურ ანგარიშს, სადაც ასახულია მთელი წლის განმავლობაში მათი მიღწევები ან პროფესიული განვითარება, თუმცა ინტერვიუს მსვლელობისას პროფესორთა ნაწილმა განაცხადა რომ გასულ წელს მსგავსი ანგარიში არ წარუდგენიათ. პროფესორები არ არიან ვალდებულები დაწერონ მომავალი წლისსთვის დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. IBSU-ს არ გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული სტრატეგია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისთვის; IBSU ატარებს სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სემინარებს როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციული პერსონალისთვის, თუმცა მონაწილეთა ჩართულობა ტრენინგებში დაბალია. ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილე პირები არ აღირიცხებიან და არ ხდება იმის დაფიქსირება თუ რამდენად გაუმჯობესდა პერსონალის სამუშაოს შესრულების ხარისხი. უსდ-ს არ აქვს ჩამოყალიბებული კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლებელს გახდის პერსონალის განვითარებაზე დაკვირვებას წლების განმავლობაში. IBSU-ს გააჩნია აფილირებული თანამშრომლების პროფესიული განვითარების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ფინანსურ წახალისებას ნაშრომების, წიგნების გამოცემისთვისა და კონფერენციებში მონაწილეობისთვის. IBSU ანაზღაურების წინასწარ განსაზღვრულ პრინციპებს იყენებს, რომელიც თანამშრომლებისთვის ცნობილია, თუმცა არ არსებობს ხელფასის მომატების წესი, რომელიც დაეფუძნებოდა თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგებს. კადრების მართვის პოლიტიკის თანახმად, IBSU-მ შესაძლოა გამოიყენოს შემდეგი წამახალისებელი პროცედურები წარმატებული თანამშრომლებისთვის: ა) საჯარო მადლობის გამოცხადება; ბ) ფასეული საჩუქრით დასაჩუქრება; გ) ფულადი ჯილდო, პრემია; საფაკულტეტო და აკადემიური საბჭოს შეხვედრების საშუალებით აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს უსდ-ს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა დასწრების პროცედურამ აუცილებელია ფორმალური ხასიათი მიიღოს, რათა აკადემიური პერსონალის სრული ჩართულობა უსდ-ს განვითარების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს. მოცემულ ეტაპზე, აკადემიური პერსონალი მეტად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის განვითარებასა და გაუმჯობესებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშესწავლის ანგარიში
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- აფილაციის წესები
- აკადემიური ხელშეკრულებები
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის კმაყოფილების შედეგები
- პერსონალის შეფასების შედეგები
- სამუშაოს აღწერა
- აკადემიური კონკურსის დოკუმენტაცია
- ინტერვიუები აკადემიური პერსონალის აფილირებულ წევრებთან
- ინტერვიუები მოწვეულ ლექტორებთან
- ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- აკადემიური პერსონალის მიერ აფილირების წესების სრულად გაგების უზრუნველყოფა.
- პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს ნათელი სტრატეგიები, რათა გაიზომოს მათი მონაწილეობის ხარისხი შეთავაზებულ ტრენინგებსა და სემინარებზე და ასევე განისაზღვროს აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით მათი პროფესიული განვითარების დონე.
- პერსონალის შეფასების სისტემა უფრო სისტემატიურად უნდა შემუშავდეს.
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის დადგინდეს კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება რამდენად გაუმჯობესებულია მათი სამუშაოს შესრულების ხარისხი.
- შემუშავდეს შედარებით უფრო ფორმალური პროცედურები, რათა აკადემიური პერსონალი სრულად იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- კადრების კმაყოფილების კვლევა უნდა შეივსოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ;
- უნდა მოხდეს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრირების პროცედურების გაუმჯობესება და მათი ინფორმირება ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების შესახებ;

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია. სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს აქვს რეგულაციები საკონტაქტო საათების მაქსიმალურ რაოდენობაზე, რომელიც პროფესორს შეუძლია, აიღოს მთელი კვირის განმავლობაში, სტუდენტებთან კონსულტაციის საათების ჩათვლით. უნივერსიტეტის ლექტორების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი, მოწვეული ლექტორი) საერთო სასწავლო სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება 18 საათით კვირაში. უნივერსიტეტის ლექტორების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ

პროფესორი, ასისტენტი, მოწვეული ლექტორი) სავალდებულო საკონსულტაციო საათები განისაზღვრება თითოეული კომპონენტისთვის კვირაში 2 საათით. აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისას, უნივერსიტეტი ითვალისწინებს ლექტორის სამუშაო დატვირთვას სხვა უსდ-ებში, სადაც ლექტორი ფლობს აკადემიურ ან/და სამეცნიერო პოზიციებს. ლექტორის ჯამური სამუშაო დატვირთვა ყველა უსდ-ში არ უნდა აჭარბებდეს 40 საათს კვირაში. მაქსიმალური დატვირთვის განსასაზღვრად, სემესტრის დასაწყისში, ლექტორი წარადგენს სერიფიკატს, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სხვა უსდ-ებში მისი აკადემიური ან/და სამეცნიერო პოზიციის ფლობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ ლექტორის ყოველკვირეული დატვირთვა აღემატება დასაშვებს (40 საათი), უნივერსიტეტს უფლება აქვს შეამციროს ლექტორის ყოველკვირეული აკადემიური დატვირთვა მომდევნო სემესტრში. მიუხედავად ამისა, არსებობს კონკრეტული შემთხვევები, როდესაც სამუშაო დატვირთვა აღემატება დასაშვებ ნორმას. აფილირებული პროფესორები და მოწვეული ლექტორები ხშირად მუშაობენ სხვადასხვა უნივერსიტეტში პარალელურად აკადემიური ან მოწვეული ლექტორის პოზიციებზე. ამავდროულად, როდესაც უსდ გამოიანგარიშებს სრულ სამუშაო დატვირთვის, მასში არ მოიაზრებენ ტესტების შესაფასებლად საჭირო დროს, მისაღები საათებისთვის მზადებას, სხვა უნივერსიტეტებში კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო დროს (თუ პროფესორი აფილირებულია სხვა სასწავლებელში), ან თუ პროფესორი სრული განაკვეთით მუშაობს კომპანიაში ან აქვს საკონსულტაციო სამუშაო, სწავლებისგან განსხვავებული საქმიანობა.

შემთხვევები როდესაც უსდ-მ უნდა შეამციროს სამუშაო დატვირთვა:

- მერაბ აბდალაძე მუშაობს პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე ორ სხვადასხვა უნივერსიტეტში და სრული სამუშაო დატვირთვა შეადგენს 109.5 საათს კვირაში გაშუალედებული მთელ წელზე;
- აზერ დილანჩიევის სრული სამუშაო დატვირთვა ყველა უნივერსიტეტში შეადგენს 87 საათს კვირაში;
- შორენა კუჭუხიძეს ორ უნივერსიტეტში კვირის განმავლობაში 38 საკონტაქტო საათი აქვს.
- ეკატერინე ბაგიშვილს კვირის განმავლობაში 30 საათი აქვს სამი სხვადასხვა უნივერსიტეტის ჩათვლით;

სამუშაო დატვირთვის გადაჭარბების შემთხვევებს ვაწყდებით მაშინ, როდესაც პროფესორი რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელია. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა და განვითარება საჭიროებს დროს, რომელიც არ არის საკონტაქტო საათებით უზრუნველყოფილი.

- ავთანდილ გაგნიძე 17 საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელია IBSU-ში, მოწვეული ლექტორია ორ სხვა უნივერსიტეტში და საკონტაქტო საათი აქვს გაზაფხულის სემესტრში;

უსდ სრულად ითვალისწინებს სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებულ პრობლემას და გეგმავს აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდას, ამავდროულად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის გაერთიანებას რათა გადაილახოს მოცემული სირთულე. თუმცა, ამისათვის საჭიროა სამუშაო დატვირთვის საფუძვლიანი დაანგარიშება, გარდა საკონტაქტო საათებისა რომელიც პროფესორებს სხვა სამსახურებში აქვთ. იმ შემთხვევაში თუ უსდ-ს აფილირებულ პროფესორს გააჩნია ადმინისტრაციული მოვალეობებიც, საერთო სამუშაო დატვირთვის დაანგარიშებისას უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნული საკითხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აფილაციის წესები
- აკადემიური ხელშეკრულებები
- აფილირების ხელშეკრულებები
- აკადემიური დატვირთვის რეგულაციები
- Excel-ის ცხრილები ინდივიდუალურ აკადემიურ დატვირთვაზე
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- საგანმანათლებლო პროგრამები
- ინტერვიუები აკადემიური პერსონალის აფილირებულ წევრებთან
- ინტერვიუები მოწვეულ ლექტორებთან

რეკომენდაციები: სამუშაო დატვირთვის გამოანგარიშებისას შეფასებისთვის, მასალების მომზადებისთვის, თითოეული კურსის საოფისე საათებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამაზე მეთვალყურეობისთვის საჭირო დრო უნდა განისაზღვროს. სრული დატვირთვის გრაფიკის გაანგარიშებისას უნდა ხდებოდეს პროფესორების სხვა სამუშაო ადგილების გათვალისწინებაც ადმინისტრაციულ თუ ბიზნეს სფეროში არსებულ პოზიციებზე. როდესაც მოხდება სრული დატვირთვის გრაფიკის გამოანგარიშება, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გადახედოს პროფესორების არსებულ გრაფიკს, რათა დარწმუნდეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება და კვლევითი და სხვა საქმიანობები სათანადოდ სრულდება.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ხელთ არსებული დოკუმენტებისა და ინტერვიუს ჩატარების გზით უნივერსიტეტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სხვადასხვა წარმომადგენელთან, ცხადი გახდა რომ უნივერსიტეტს აქვს ეფექტური, კარგად მორგებული პოლიტიკა მაშინ როდესაც საქმე ეხება სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, უფლებებსა და მოვალეობებს. დოკუმენტები ხელმისაწვდომია როგორც ინგლისურ ისე ქართულ ენაზე. იურიდიული ოფისის განცხადებით, მას შემდეგ რაც სტუდენტი ჩაირიცხება IBSU-ში, ისინი მონაწილეობას იღებენ საორიენტაციო პროგრამაში, სადაც დეტალურ ინფორმაციას აწვდიან სტუდენტებს არსებულ რეგულაციებზე. გარდა საორიენტაციო პროგრამისა, უსდ სტუდენტებს უზრუნველყოფს "დამწყებთა სახელმძღვანელოთი"და ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას. მათი თქმით, საერთაშორისო თუ ქართველ სტუდენტებთან გამართულ შეხვედრებზე, სტუდენტები სრულყოფილად ინფორმირებულები არიან და ხელმოწერამდე ეცნობიან სახელშეკრულებო პირობებს. შესაბამისად, გუნდი კმაყოფილია იმ ძალისხმევით, რომელიც გამოიჩინეს ყველა დაინტერესებული მხარის

ინფორმირებისთვის, ამ გზით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხელშეკრულება (საბაკალავრო, სამაგისტრო, დოქტორანტურის საფეხურზე),
- საგანმანათლებლო პროცესის წესები და რეგულაციები
- სტრუქტურული ერთეულების რეგულაციები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დოკუმენტებისა და ინტერვიუების ანალიზისას, ექსპერტთა გუნდმა აღმოაჩინა, რომ თითოეულ პროგრამას ჰყავს კოორდინატორი ან/და ხელმძღვანელები, რომლებიც ეხმარებიან სტუდენტებს აკადემიურ მოსწრების გაუმჯობესებაში ისინი გამოკითხვის შედეგებს აანალიზებენ და შეხვედრებს მართავენ სტუდენტებთან, მსგავსი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში. სტუდენტთა თქმით, აკადემიური პროცესის განმავლობაში პრობლემური სიტუაციის არსებობისას, მათ პირდაპირ გააჩნიათ წვდომა აკადემიურ კოორდინატორთან, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია საკითხის შინაარსზე. გარდა კოორდინატორებისა, ლექტორები და პროფესორები საკუთარი საზომით აფასებენ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის დაგეგმვის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტთა დასაქმებაზე. უნივერსიტეტმა წარადგინა ხელმოწერილი მემორანდუმების სია სხვადასხვა კომპანიასთან. კარიერის დაგეგმვის სამსახური ასევე იკვლევს დასაქმების ბაზარსა და არსებულ მოთხოვნებს. კარიერული დაგეგმვის სამსახურის წარმომადგენლის თქმით, ყოველწლიურად უნივერსიტეტი დასაქმების ფორუმს ატარებს, თუმცა, როგორც შემდგომ დადგინდა წელიწადში ერთხელ ჩატარება არ იყო საკმარისი შესაბამისი მიზნის მისაღწევად და მოცემულ ეტაპზე მეტი სიხშირით იმართება აღნიშნული ღონისძიება. სტუდენტების თქმით, ისინი ინფორმაციას იღებენ პოსტერების, ელექტრონული ფოსტის, ზოგჯერ მოკლე ტექსტური შეტყობინების, Facebook-ის

(სოციალური მედია) საშუალებით. მათ სურვილი აქვთ მეტი შესაძლებლობები ჰქონდეთ და დაიწყონ სტაჟირების პროგრამა და სამსახური. როდესაც ექსპერტთა გუნდი შეხვდა კურსდამთავრებულებს, მათ განაცხადეს, რომ კარიერული დაგეგმვის სამსახურისგან დღემდე იღებენ ვაკანსიებს. თუმცა, სტუდენტებთან საუბრის საფუძველზე გუნდმა ჩათვალა, რომ საერთაშორისო სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართული კარიერული დაგეგმვის საქმიანობაში და საჭიროა ნაბიჯები გადაიდგას უცხოელი სტუდენტების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

გუნდმა აღმოაჩინა, რომ სხვადასხვა გაერთიანება უზრუნველყოფს სოციალური და კლასგარეშე ღონისძიებების ორგანიზებას: სტუდენტური თვითმართველობა, სტუდენტური კლუბები და უშუალოდ ფაკულტეტები. თითოეული მათგანი გეგმავს სხვადასხვა სოციალურ ან აკადემიურ ღონისძიებას სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე. კლუბებისა და ღონისძიებების შესახებ იდეები ძირითადად მოდის სტუდენტებისგან და იშვიათად აკადემიური პერსონალისგან. უნივერსიტეტი ღიაა ინიციატივებისა და შეთავაზებებისთვის. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა აღნიშნა რომ ყოველდღიურად სტუდენტები მიმართავენ სხვადასხვა პრობლემით, ისინი კი ცდილობენ მედიატორის როლი ითამაშონ სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის. სტუდენტებთან გამართული შეხვედრის საფუძველზე, ექსპერტთა გუნდს გაუჩნდა ეჭვი, რომ სტრატეგიული განვითარების მზადებაში ის სტუდენტები უფრო იყვნენ ჩართულები, რომლებიც ასოცირდებიან თვითმმართველობასთან. საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობა აღნიშნულ პროცესში მინიმალური იყო.

უნივერსიტეტში არსებობს რამდენიმე სახის სტიპენდია და გადახდის მეთოდი რათა დაეხმარონ რთული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის სტუდენტებს, სტუდენტები ინფორმირებულები არიან და იყენებენ ფასდაკლების შესაძლებლობებს. შერჩევის კრიტერიუმი ძირითადად ეფუძნება GPA-ს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- რეგულაციები სტრუქტურული ერთეულებისთვის;
- შიდა რეგულაციები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება მათი კვალიფიკაციის ჩათვლით;
- სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს დასაქმების ფორუმებზე საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობა.
- უნდა შემუშავდეს ნათელი პოლიტიკა და განისაზღვროს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სტუდენტების პრობლემების მართვასა და მოგვარებაზე.
- საჭიროა "ღია კარის პოლიტიკის" რეგულირება, რათა პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოწესრიგდეს და შესაძლებელი გახდეს მისი მართვა.
- დამკვიდრდეს სტუდენტური კლუბებისა და თვითმმართველობის შეფასება, რადგან ისინი არიან უნივერსიტეტის ოფიციალური ორგანოები.
- გავრცელდეს ხედვა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა არის ცვლილებების მომტანი სტუდენტებისთვის, ორიენტირებულია სტუდენტების საჭიროებებზე და მონაწილეობს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რჩევები:

- რჩევები: სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში, როგორებიცაა მაგალითად CEEMC (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმიტირებული სასამართლო), JESSUP (ფილიპ ჯესაპის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო კონკურსი), VIS MOOT (ვისის სართაშორისო იმიტირებული კომერციული საარბიტრაჟო კონკურსი) დადებითი ფაქტორი იქნება.
- შეიქმნას უფრო მეტი საერთაშორისო საპროექტო შესაძლებლობა (სოციალური ან / და აკადემიური) სტუდენტებისთვის.
- შემუშავდეს საერთაშორისო პროექტების უფრო მეტი შესაძლებლობა (სოციალური და/ან აკადემიური) სტუდენტებისთვის.

საუკეთესო გამოცდილება (თუ არსებობს): გუნდი ულოცავს უნივერსიტეტს, რომ მას აქვს ნათელი, კომფორტული და მრავალფუნქციური კამპუსი. SMART სისტემა არის სტუდენტზე ორიენტირებული. IBSU -ში არსებული სტაჟირების პროგრამები განიხილება კარგ საწყის წერტილად შემდგომი განვითარებისათვის.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
• უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. • სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. • უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: IBSU ორიენტირებულია გამოყენებით კვლევაზე, რომელიც ორ მიზანს მოიცავს, 1) ცოდნის დაგროვების შესაძლებლობას "განათლების ხარისხის ზრდისა და მიღებული გამოცდილების განზოგადებას" და 2) პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას "რომელიც საზოგადოების, მეწარმეებისა თუ ბიზნესის წინაშე დგას." პირველი მიზნის მისაღწევად, IBSU-მ ჩამოაყალიბა ორი კვლევითი ცენტრი (საერთაშორისო კვლევების ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გეოპოლიტიკის, ამერიკისმცოდნეობის, ევროკავშირისა და ჩინეთის კვლევების მიმართუებით, ასევე ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრი ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის ინტეგრაციას სხვადასხვა დარგში სწავლებისა და სწავლის პროცესში), თუმცა ინტერვიუს შედეგების თანახმად, წარმოდგენილი ცენტრები ცოტა ხნის წინ დაფუნძდნენ და ზოგადად IBSU-ს ფინანსური დახმარებით ფუნქციონირებენ. მეორე მხრივ, IBSU უზრუნველყოფს სტატიების, წიგნებისა და ა.შ. ბეჭდვას და ამ საქმიანობის განხორციელებისთვის ფაკულტეტების მიხედვით გამოყოფს დაფინანსებას აკადემიური წახალისების რეგულაციის მიხედვით. მოცემული საქიანობით შექმნილი მასალები, როგორც წესი გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. განათლება შავი ზღვის რეგიონში სამეცნიერო ჟურნალი, ტექნიკური მეცნიერებები და ტექნოლოგიები სამეცნიერო ჟურნალი და ა.შ.), უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ელექტრონული სახით, იმართება მოლაპარაკებები საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მათ შესწავლასთან დაკავშირებით (მაგ.: განათლება შავი ზღვის რეგიონში სამეცნიერო ჟურნალი ინდექსირებულია INDEX COPERNICUS-ის, Academic Resource Index-ის მიერ და ა.შ. ინტერვიუების მსვლელობისას, ცნობილი გახდა რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები SCOPUS-თან, ტექნიკური მეცნიერებები და ტექნოლოგიები სამეცნიერო ჟურნალი ინდექსირებულია SIS-ის მიერ, მაშინ როდესაც სხვა ჟურნალები წარმოდგენილი არ არის სამეცნიერო ბაზებში). ამავდროულად, სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს რეგულაციის თანახმად, ზემოთ ხსენებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები მიიღება როგორც ინდექსირებულ, ისე საერთაშორისო ციტირების ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად. ინდექსირებული ჟურნალები ძირითადად გამოიყენება დოქტურანტურის იმ სტუდენტების მიერ, რომლებიც ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრული

კრიტერიუმები. ზოგიერთი ჟურნალი არ არის წარმოდგენილი ინდექსირებულ მონაცემთა შესაბამის ბაზაში, ამდენად რთულია იმ კრიტერიუმების გაყოლა, რომელებიც უნდა დაკმაყოფილდეს ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალში სტატიის დასაბეჭდად.
რაც შეეხება მეორე საკითხს, ძირითადი ინდიკატორია: ბიზნეს სექტორთან სამართლის, ეკონომიკის, სოციალური მეცნიერებებისა და სხვა მიმართულებებით თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება. ამავდროულად, ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ კვლევების წილი, რომლებიც ეხება ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან ინოვაციურ განვითარებას, მცირეა, ისევე როგორც ამ აქტივობების მხარდაჭერისთვის საჭირო შემოსავალი, მაგრამ უნივერსიტეტი მუშაობს ამ მიმართულებით და ეძებს დაფინანსების შესაძლებლობებს. შესაბამისად, სამეცნიერო ფონდებსა და ბიზნესთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ეკონომიკური, ინდუსტრიული და სხვა ინოვაციური კვლევების მიმართულებით, გაზრდის პოტენციალს.

ფაკულტეტების სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობაში, IBSU ახორციელებს მცირე მაშტაბის ისეთ კვლევით პროექტებს, როგორებიცაა "რეგულარული განტოლებების ხის მეთოდით ამოხსნა", "უფრო მაღალი თანრიგის ვადის გადაწერა რეგულარული ტიპებით" და ა.შ. აღნიშნული დანერგილია მოწვეული კოლექტივის მიერ "შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" ფინანსური მხარდაჭერით (მთავარი კოლექტივი ძირითადად არ არის ჩართული მსგავს აქტივობებში და გარე დაფინანსების მქონე პროექტების რაოდენობა მცირეა, მაგრამ ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ უნივერსიტეტში არ არსებობს სტრუქტურული ერთეული, რომელიც მხარს დაუჭერს აკადემიურ პერსონალს გრანტის მოპოვების პროცესში) და მონაწილეობდა ისეთ საერთაშორისო პროექტებში, როგორებიცაა: TEMPUS, Black Sea Basin და Viesgrad უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. ასევე, უნივერსიტეტი სისტემატიურად ახდენს კონფერენციების ორგანიზებას (მაგ. ამერიკული კვლევების ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, საგანმანათლებლო კვლევის ყოველწლიური კონფერენცია, ენასა და ლიტერატურაში კონფერენციები და ა.შ.)
აბრეშუმის გზის სიმპოზიუმი და ა.შ.), რომელიც ძირითადად ემსახურება რეგიონალურ დონეზე საგანმანათლებლო განვითარებას. ინსტიტუტმა შეიმუშავა კვლევითი ცენტრების საქმიანობის ხედვა, რომელიც მიზნად ისახავს "კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას სემინარების, არაფორმალური შეხვედრებისა და დისკუსიების ფორმატით მრგვალ მაგიდასთან, სადაც ჩართული იქნება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მოწვეულ ლექტორებთან და მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებთან ერთად." მსგავსი აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს საგანმანათლებლო ხედვის ნაწილად. ამავდროულად, ინტერვიუების თანახმად, IBSU-ს ფინანსური დახმარებით გამოცემული წიგნები და სტატიები, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, ლექტორების მიერ გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვრა დოქტორანტურის სტუდენტების/ მკვლევარების ხელმძღვანელთა ფუნქციები, რომელიც სადოქტორო სწავლების წესდებაში არის აღწერილი.
ხელმძღვანელი უნდა იყოს IBSU-ს ან სხვა უსდ-ს ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი, რაც იმას გულისხმობს რომ ზოგადად ხელმძღვანელი ჩართულია სასწავლო საქმიანობაშიც (მაგ.: ერთ-ერთი ხელმძღვანელის დატყვირთვა უტოლდება 400 სასწავლო საათს და ა.შ.). ამავდროულად, 2017 წლიდან განსაზღვრულ პროგრამებზე (მაგ.: დოქტორანტურა კომპიუტერულ მეცნიერებაში, დოქტორანტურა ამერიკისმცოდნეობაში და ა.შ.) დოქტორანტურის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას აიყვანონ საერთაშორისო თანახელმძღვანელი, თუმცა თანახელმძღვანელის არჩევას ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი, არ არის ნათელი როგორ განსაზღვრავს IBSU სხვა უსდ-ში მომუშავე საერთაშორისო თანახელმძღვანელის ან პროფესორის დატვირთვას.
სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელის ეფექტიანობა ფასდება დოქტორანტურის სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარებით, სადაც როგორც წესი სტუდენტები კმაყოფილებას გამოხატავენ ხელმძღვანელის მიერ შესრულებული სამუშაოთი. მთავარი პრეტენზია უკავშირდება საკონტაქტო საათებსა და საერთაშორისო ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის ეფექტიანობას, ერთი მხრივ ეს შეიძლება აიხსნას იმით რომ სტუდენტთა უმრავლესობას ჯერ კიდევ არ ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი, მეორე მხრივ საერთაშორისო ხელმძღვანელების/ თანახელმძღვანელების რაოდენობა არც ისე მაღალია (მაგ.: 2017 წლიდან სამი თანახელმძღვანელია კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე, ხოლო ორი თანახელმძღვანელი ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე და ა.შ.).
სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს წესდებაში ყველა პროცედურა არის განმარტებული, თუმცა როგორც ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, სტუდენტებს ესაჭიროებათ დამატებითი ინფორმაცია წინა-დაცვის პერიოდზე, რაც გულისხმობს მინიმუმ სამ პუბლიკაციას (ორ რეფერირებულ სამეცნიერო

ჟურნალსა და ერთ საერთაშორისო ციტირების ინდექსის ჟურნალში) და სიას SSI-ს ან SOC-ის ინდექსირებულ ჟურნალში, რომელიც აღიარებულია აკადემიური საბჭოს მიერ IBSU-ს ჟურნალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კვლევის პოლიტიკა, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევისა და დაქირავების რეგულაციები, აკადემიური წახალისების რეგულაციები
- კვლევითი ცენტრები
- IBSU-ის კვლევასთან დაკავშირებული ვებ-გვერდები
- სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს რეგულაცია და დამატებითი ფორმები
- თანამშრომლობის მემორანდუმი
- დანერგილი, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები სამეცნიერო კვლევითი პროექტებისთვის და დისერტაციების სია.
- დოქტორანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობა
- დოქტორანტების ონლაინ კვლევა
- შესაბამისი პუბლიკაციები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- ყურადღება გამახვილდეს კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით, გარე დაფინანსების შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე.
- კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის გარე დაფინანსების შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
- აკადემიურ პერსონალს მიეცეს მეტი შესაძლებლობა საგრანტო და საპროექტო წინადადებების წარსადგენად.
- წინა-დაცვის პერიოდზე ინფორმირებულობის გაზრდა, განსაკუთრებით, SSI ან SOC- ის სიაში ინდექსირებული ჟურნალების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- o უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- o ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- o უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ზოგადად, IBSU ორიენტირებულია კვლევითი უნარებისა და მეთოდების მიმართულებით ახალი ცოდნის დაგროვებაზე, ასევე გაცვლითი შესაძლებლობების კუთხით აქტიურად თანამშრომლობსშესაბამის საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან.

კვლევითი საქმიანობა IBSU-ში მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევით დარგში პრორექტორის ხელმძღვანელობით. აკადემიური წახალისების წესის ფარგლებში, უნივერსიტეტი ეხმარება აფილირებულ პერსონალს სტატიების, წიგნების, კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების

ანაზღაურებაში. ასევე, პრორექტორი სამეცნიერო-კვლევით დარგში ეძებს კვლევის დაფინანსების შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს საერთაშორისო ადმინისტრაციულ პროცესებთან დაკავშირებული პროექტების ნიმუშებით. თუმცა, უნივერსიტეტში არ არსებობს სტრუქტურული ერთეული, რომელიც დაეხმარება თანამშრომლებს საგრანტო პროექტების წერასა თუ შეთავაზების წარდგენაში. როგორც ინტერვიუს პროცესში დადგინდა, თანამშრომლები კონსულტაციებს ვერ იღებენ საგრანტო წინადადების შედგენის, შეფასებისა თუ წარდგენის ეტაპზე, ადმინისტრაციული გრანტებისა თუ ანგარიშის შედგენის პროცესში არ აქვთ მხარდაჭერა.

IBSU-ს კვლევითმა ცენტრებმა ფუნქციონირება დაიწყეს რამდენიმე წლის წინ. ამავდროულად, სამი წლის წინ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის განვითარების მიზნით ნება დართო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს) მონაწილეობა მიიღოთ სამეცნიერო კონკურსებში. შესაბამისად, IBSU-ს კვლევითი ცენტრის ფუნქციონირება და ბოლოდროინდელი საქმიანობები შესაძლოა ჩაითვალოს გამოწვევად ეფექტური კვლევითი საქმიანობების განვითარებაში.

IBSU ნებას რთავს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს ჩაერთონ სწავლების პროცესში და ეხმარება მათ კვლევის წარმოებაში. ასევე, საგანმანათლებლო დონეზე უნივერსიტეტი სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს სთავაზობს ტრენინგებს პროექტების წერაში, კვლევის დიზაინსა და ა.შ. რომელიც შეიძლება სამეცნიერო საქმიანობაში სტუდენტთა შემდგომი ჩართულობის საფუძველს წარმოადგენდეს. ამავდროულად, IBSU ეხმარება სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაში, თუმცა სტუდენტები ითხოვენ მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას;

IBSU-ს სადოქტორო პროგრამების რეგულაციები საშუალებას იძლევა განაცხადები გაკეთდეს ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე, თუმცა პროგრამები ხორციელდება მხოლოდ ინგლისურად. არ არსებობდა ერთობლივ ან ორმაგ ხარისხზე ორიენტირებული ერთობლივი პროგრამები. IBSU-ს გააჩნია საერთაშორისო კონტაქტები, რომელიც გამყარებულია უცხოურ უმაღლეს საგანმანმანათლებლო ინსტიტუტებთან მემორანდუმებით (მაგ.: პორტოს ინსტიტუტი, ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ა.შ.) და მიმდინარეობს მოლაპარაკებები კრაკოვის უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამის ჩამოყალიბებაზე, თუმცა შედეგი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ამ მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ IBSU-ს არ დაუნერგავს ორმაგი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, 2017 წლიდან მხარს უჭერს საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესორების მიერ ორმაგი ხელმძღვანელობის საკითხს. გიორგი ბაღათურია, მარგარეტ ჯონსონი; "სოციალური მედიის როლი მარკეტინგის მართვაზე," ბიზნეს ჟურნალი, ტომი 3, გამოცემა 1, 2014 და ა.შ.)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური დატვირთვისა და ხელფასების განსაზღვრის რეგულაციები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევისა და დაქირავების რეგულაციები, აკადემიური წახალისების რეგულაციები
- სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს რეგულაცია და დამატებითი ფორმები
- დანერგილი, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები სამეცნიერო კვლევითი პროექტებისთვის და დისერტაციების სია.
- დოქტორანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობა
- ხელმძღვანელის ეფექტურობის ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- აკადემიურ პერსონალს მიეცეს მეტი შესაძლებლობა საგრანტო და საპროექტო წინადადებების წარსადგენად.
- დაჩქარებით დაიგეგმოს საერთო პროგრამების იმპლემენტაცია, რომლებიც საერთო ან ორმაგი ხარისხის მომტანი იქნება.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიური პერსონალის სამუშაოს შეფასების ფორმის მიხედვით, IBSU აწარმოებს აკადემიური პერსონალის კვლევითი შედეგების შეფასებას. მეცნიერებისა და აკადემიური სამუშაოს წლიური ანგარიშის თანახმად ყოველი წლის დასასრულს, თუმცა შედეგები ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. აკადემიური პერსონალიდან შეგროვილი მონაცემები შეიცავს ინფორმაციას უახლოეს წარსულში გამოქვეყნებულ სტატიებსა და წიგნებზე, უკვე განხორციელებულ სამეცნიერო ღონისძიებებსა და პროექტებზე და ა.შ. თუმცა შეფასების შედეგები არ იყო სრულყოფილად ხელმისაწვდომი ექსპერტთა ჯგუფისთვის, რადგანაც მოცემული ინფორმაცია განსხვავდებოდა ფაკულტეტების მიხედვით და ზოგიერთი ფაკულტეტის საქაღალდე საერთოდ არ შეიცავდა ამ ინფორმაციას.
ყოველი წლის ბოლოს შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ფასდება კვლევისა და კვლევითი ცენტრის ხარისხიც. იმის გათვალისწინებით, რომ კვლევითი ცენტრები უახლოეს წარსულში შეიქმნა, მხოლოდ ორი სამუშაო ანგარიში არსებობს 2016-2017 წლებისთვის (პერსონალის სამუშაო ანგარიში და კვლევითი ცენტრის სამუშაო ანგარიში 2016-2017 წლებში). კვლევითი საქმიანობა ასევე წარმოდგენილია შემდეგ დოკუმენტებში:

ა) ფაკულტეტების მიხედვით პუბლიკაციები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობაზე 2012 წლიდან;
ბ) სამეცნიერო ხელმძღვანელის ეფექტიანობის კვლევა მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს სამეცნიერო ხელმძღვანელების ეფექტიანობაზე;
გ) ზოგადი ანგარიში სამეცნიერო საქმიანობაზე მოიცავს სტატიებსა და უცხოელი სპეციალისტების მიერ საკონფერენციო ნაშრომის პუბლიკაციებს 2013 წლიდან;
დ) IBSU-ს მიერ ორგანიზებული საერთაშორისიო კონფერენციების სია;
ე) ამჟამად დაგეგმილი სამეცნიერო საქმიანობის დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას წარსულში, მომავალში და ამ ეტაპზე მიმდინარე პროექტებზე ფაკულტეტების მიხედვით

IBSU რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს განხორციელებული საქმიანობის შესახებ და იყენებს კვლევის შედეგების შეფასებას, რათა განავითაროს კვლევითი საქმიანობა წესებისა და პოლიტიკის განახლების გზით.

პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით IBSU იყენებს ტურნიტინის სისტემას, რომელსაც, როგორც წესი, თანამშრომლები იყენებენ. ადგილზე განხორციელებული ვიზიტის დროს, მაგისტრანტებმა განაცხადეს, რომ ზოგადად ისინი არ იყენებენ Turnitin-ს, ხოლო დოქტორანტებმა განმარტეს, რომ ისინი ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას პლაგიატსა და Turnitin-ის სისტემის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასების ფორმა
- ზოგადი ანგარიში სამეცნიერო აქტივობების შესახებ
- ყოველწლიური ანგარიში სამეცნიერო და აკადემიური სამუშაოების შესახებ
- აკადემიური წახალისებები
- პერსონალი, რომელიც ახდენს IBSU-ის ჟურნალების გადახედვას
- თურნიტინი
- გადახედვის შედეგები

რეკომენდაციები:

- გამოქვეყნდეს აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების შეფასების ანალიზი.

რჩევები: • ამაღლდეს მაგისტრანტების ცნობიერება პლაგიატისა და პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმების კუთხით.
საუკეთესო გამოცდილება (თუ არსებობს):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: IBSU ფლობს მატერიალურ რესურსებს, რომელიც შეესაბამება მისიის დებულებასა და საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. კამპუსი შედგება ფოიესგან, რეკრეაციული სივრცისგან, აუდიტორიებისგან, ადმინისტრაციული ოფისებისგან, ჯგუფური სამუშაოს სივრცეებისგან, ბიბლიოთეკისგან, კომპიუტერული ლაბორატორიებისგან, სტუდენტთა და თანამშრომელთა სასადილოსგან, სავარჯიშო დარბაზისგან, სტადიონისგან. უსაფრთხოების ზომები დაცულია შენობაში, IBSU-ს გააჩნია სახანძრო სიგნალიზაცია, ცეცხლმქრობი და ევაკუაციის გეგმა შენობის ყველა ნაწილში. IBSU უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას, ამ მოვალეობის შესასრულებლად დანიშნულია სამედიცინო ჯგუფი და შენობაში არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ყველა მოწყობილობით. უნივერსიტეტს აქვს დაცვის ვიდეო ჩამწერი და მეხსიერების სპეციალური დანადგარები; უსაფრთხოება ასევე დაცულია საბარათე სისტემითა და დაცვის თანამშრომლების საშუალებით, შესაბამისად ვერც ერთი გარეშე პირი ვერ შეაღწევს შენობაში. შენობაში დაცულია სანიტარული ნორმები, გარკვეული ნაწილი ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებზე. სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს თავისუფლად გადაადგილება შეუძლიათ უსდ-ს მხოლოდ ერთ შენობაში, რომელიც უზრუნველყოფილიაპანდუსებით, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არის სპეციალური საპარკინგე ადგილი გამოყოფილი სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამას დასჭირდება სამოდელო სივრცე, რაც გათვალისწინებულია პროგრამის განვითარებაში. პროგრამამ ცოტა ხნის წინ მიიღო აკრედიტაცია და მოცემულ ეტაპზე უსდ მუშაობს ამ საკითხზე. ახალი კამპუსის განვითარების შესახებ აღნიშნულია სამოქმედო გეგმაში, გადასვლა დაგეგმილია 2021 წლამდე.

უსდ არ ასახელებს გადასვლის კონკრეტულ დროს და არც ის არის ცნობილი საკუთრებაში დაიტოვებენ თუ არა ამჟამინდელ კამპუსს. მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ტურები ობიექტებზე
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- ყველა შენობა სრულად ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის

რჩევები:

- შეიქმნას სტუდენტური სამოდელო სივრცე არქიტექტურის პროგრამისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სამკითხველო დარბაზით, შეხვედრებისა და ჯგუფური სამუშაოს სივრცეებით, IT სივრცით, წიგნების მარაგით, მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერების ინტერნეტთან წვდომითა და ა.შ.

IBSU-მ შეიმუშავა ბიბლიოთეკის რესურსების ფუნქციებისა და გამოყენების განვითარების წესები.

ბიბლიოთეკას გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მასალები, როგორც დაბეჭდილი ისე ელექტრონული ფორმით, პერიოდულად მოთხოვნის შესაბამისად ხდება განახლება, თუმცა არსებობს მეტი კოორდინაციის არსებობის აუცილებლობა აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შორის, რათა მუდმივად ხდებოდეს სილაბუსში წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რაც ხშირ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი. ზოგადად, მასალები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვისა და ლექტორებისთვის კვირაში 60 საათის განმავლობაში და ბიბლიოთეკის თანამშრომლები ეხმარებიან სტუდენტებსა და პერსონალს შესაბამისი ლიტერატურის მოძებნაში.

წიგნები დალაგებულია სასწავლო დარგის მიხედვით და რეგისტრირებულია ელექტრონულ კატალოგში. არსებობს ორი ტიპის კატალოგი: პირველი დაბეჭდილი მასალებისთვის, მეორე კი - ელექტრონული მასალებისთვის. IBSU უზრუნველყოფს წვდომას ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზებზე, როგორიცაა Clarivate, JStor, EBSCO და ა.შ. როგორც აღმოჩნდა 2018 წლის 27 თებერვლიდან Polpred-ის გამოწერა დაიწყო უნივერსიტეტმა, ხოლო 2018 წლის 23 თებერვლიდან JStor-ის გამოწერა, რომელზე წვდომაც გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენების დროისა და გამოწერის ტიპის მიხედვით რთულია ბაზების გამოყენებაზე მუდმივი მონიტორინგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაბეჭდილი და ელექტრონული მასალების კატალოგები

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებთან (EBSCO, Clarivate და ა.შ.)
- ბიბლიოთეკის აღჭურვილობა შესაბამის დოკუმენტებთან ერთად
- ბიბლიოთეკის რეგულაცია
- ბიბლიოთეკის რესურსების განვითარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობა გაღრმავდეს, რათა ხელმისაწვდომი იყოს სილაბუსში ჩამოთვლილი ყველა სავალდებულო ლიტერატურა.

რჩევები:

- მონაცემთა ბაზის სტატისტიკური ანალიზის გამოყენებისას მეტი სიცხადე

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-საიტი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრაცია სრულ შესაბამისობაშია ინსტიტუტში ბიზნესს პროცესების დანერგვასთან. IBSU-მ შეიმუშავა საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის წესები, რომელიც არეგულირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მონაცემების დაცვასა და ელექტრონულ მომსახურებას. რეგულაცია განსაზღვრავს საინფორმაციო ტექნოლოგიების ანგარიშვალდებულებასთან ასოცირებულ წესებსა და მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს.

სტრატეგიული გეგმა ხაზს უსვამს IT ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობასა და ემსახურება მოცემულ მიმართულებას დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმით.

უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში საინფორმაციო ტექნოლოგიებში არსებული შესაძლო რისკები იდენტიფიცირებული და შეფასებულია.

IT ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) მუდმივად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვისა და პერსონალისთვის.

უნივერსიტეტი იყენებს მთელ რიგ ელექტრონულ სერვისებს (სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (SIS), IBSU-ს მუდლი ეფუძნება სასწავლო მართვის სისტემას (Learning Management System - LMS) და ელექტრონული მართვის სისტემას (ელექტრონული დოკუმენტაციის პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, საგანმანათლებლო ინსტიტუტების რეესტრი).

მართალია, სისტემის შენარჩუნებით კიბერუსაფრთხოების ცოდნა პერსონალმა გამოავლინა, თუმცა მსგავსი ცოდნა არ გამოავლინა ადმინისტრაციულმა პერსონალმა. მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის ნაკლებობა რისკის წინაშე არ აყენებს უნივერსიტეტს, საკითხის ბევრად უკეთ გააზრებას შეეძლო უსაფრთხოების ბევრად მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

საინფორმაციო სისტემა გამოიყენება აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესებში, სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისას, აკადემიური შეფასებების ბაზის რეგისტრაციისას. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლა სტუდენტსა და ლექტორს შორის მიმდინარეობს დამატებითი სისტემის "Smart"-ის საშუალებით. ვიზიტისას დადებითად შეფასდა სტუდენტთა საინფორმაციო სისტემისა და Smart-ის გამოყენება სტუდენტებისა და პერსონალის მიერ. ამავდროულად, უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული სისტემა/ პლატფორმა, რომელზეც განთავსებულია უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები და სამუშაო პროცესში გამოყენებული დოკუმენტების მაგალითები (tqm.ibsu.edu.ge). ამ სისტემაზე წვდომა აქვთ უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს (დოკუმენტის შინაარსის მიხედვით).

IBSU-ს ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და ინფორმაციულ ფუნქციებს, მოიცავს საკონტაქტო და სხვა ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის უნივერსიტეტის მისიაზე, სტრატეგიულ გეგმაზე, ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგზე, სწავლების პროცედურებზე, სწავლასა და შეფასებაზე, პერსონალზე, ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგზე, ყოველწლიურ ანგარიშებზე, ფინანსურ ანგარიშებზე, სამეცნიერო საქმიანობაზე, დასაქმების შესაძლებლობებზე და სხვა ხელმისაწვდომ მომსახურებებზე. ინფორმაციის განახლება ვებ-გვერდზე რეგულარულად ხდება. თითოეული ფაკულტეტი პასუხისმგებელია ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განახლებაზე

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის რეგულაციები
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა
- სტრატეგიული გეგმა
- სამოქმედო გეგმა
- კონტრაქტი ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების შესახებ
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

რჩევები:

- შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება კიბერ-უსაფრთხოებისა და IT მენეჯმენტის საკითხებზე.

საუკეთესო გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთვევაში):

7.4 ფინანსური რესურსები

- o უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- o უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტი შემოსავლის 2017-2018 წლებში შეადგენს 7,603,750 ლარს, მაშინ როდესაც საერთო განსაზღვრული დანახარჯი შეადგენს 7,341,344 ლარს. სწავლის საფასური; სახელმწიფო გრანტი; TOEFL საგამოცდო ცენტრი; IBSU-ს ტრენინგ ცენტრი / მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამები; კონფერენციები - საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის საფასური; საერთაშორისო და ეროვნული პროექტები და სამეცნიერო გრანტები. იმავე აკადემიური წლის ბიუჯეტის მთავარი ხარჯები მოიცავს შემდეგს: პერსონალის სახელფასო ხარჯებს; აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხარჯებს; საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის ხარჯებს; სამეცნიერო პუბლიკაციების ხარჯებს; წიგნების, ჟურნალების, გაზეთების შეძენის ხარჯებს; წიგნების ბეჭდვის ხარჯებს; მარკეტინგულ ხარჯებსა და ა.შ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსები საიმისოდ, რომ განახორციელოს სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობები.

ადმინისტრაციასთან გამართულ შეხვედრაზე ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტი გეგმავს შეამციროს ადმინისტრაციული ხარჯები. ამჟამინდელი პერიოდის მიმართება ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საერთო ბიუჯეტს შორის არის 57%, 2021 წლისთვის მიმართების შემცირება ნავარაუდევია 55 პროცენტამდე. უნივერსიტეტი ასევე გეგმავს კვლევაზე გამოყოფილი საერთო ფინანსების გაზრდას, 2021 წლის მთლიან ბიუჯეტდან განვითარებასა და შემოქმედებით მიდგომებზე დაფუძნებული საქმიანობები 3%-დან 5%-მდე გაიზრდება.

უნივერსიტეტს აქვს ფინანსური კონტროლის შიდა და გარე მექანიზმები. ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის მექანიზმები განვითარდა, რომლებშიც წარმოდგენილია რეგულაცია და პასუხისმგებლობების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების გადანაწილების ფორმები. ყოველწლიურად, IBSU-ის მიერ დაქირავებული აუდიტორული კომპანია შეისწავლის ბუღალტერიის მიერ განხორციელებული ფინანსური საქმიანობის ლეგიტიმურობას, ადგენს შესაბამისს ანგარიშს. წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია საკონსულტაციო კომპანიის მიერ მომზადებული უნივერსიტეტის ფინანსური ანალიზის დასკვნა 2013-2017 წლებში. დამატებით, უნივერსიტეტმა დაიქირავა მრჩეველი საგადასახადო საკითხებში.
უნივერსიტეტის შემოსავლების დინამიკა 2013-2017 წლებში და ჩარიცხული სტუდენტების წლიური რიცხვი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სტრატეგიულ და ოპერაციულ გეგმებში გაწერილი აქტივობები წარმატებით განხორციელდა.

2.1-ში მითითებული საექსპლუატაციო სასამართლო საქმეზე უნივერსიტეტმა აჩვენა, რომ მას საკმარისი თანხები აქვს სადავო თანხების დასაფარდ. უნივერსიტეტი განმარტავს, რომ საქმის დაცვა ეფუძნება უფრო პრინციპებს, ვიდრე გადახდის უნარიანობას

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- ფინანსური ანგარიში და დინამიკა წლების მიხედვით.
- რეგულაციები ფინანსური კონტროლისთვის
- მატერიალური და ფინანსური რესურსების თემაზე შეხვედრა ბუღალტერიასთან და სპეციალურ შტაბთან, კანცლერი
- შეხვედრა რექტორთან, ვიცე რექტორთან და კანცლერთან

რეკომენდაციები:
რჩევები: • გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მუშაობის გაგრძელება შემოსავლების ნაკადების დივერსიფიკაციისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან